

მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებასა და სოციალურ სფეროში ხარჯების ეფექტურად მართვაში

ვაშინგტონი, 2014 წლის 26 ივნისი – დღეს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოსთვის კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური ზრდის განვითარების 92.7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა. ეს ბოლო ღონისძიებაა იმ პროგრამიდან, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება, და 2012-2014 წლებს მოიცავს. პირველი ორი ღონისძიების დაფინანსება 2012 წლის 19 ივლისსა და 2013 წლის 27 ივნისს იქნა დამტკიცებული.

განვითარების პოლიტიკის მესამე ღონისძიება მიზნად ისახავს მთავრობის მხარდაჭერას კონკურენტუნარიანობის გაძლიერების და სოციალური და ფისკალური შედეგების გაუმჯობესების კუთხით, რათა ქვეყანაში მოხდეს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და საერთო კეთილდღეობის გაზრდა. ამ მიზნების მიღწევა კი შესაძლებელი იქნება რეფორმების გატარების საშუალებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ვაჭრობა და ვაჭრობის წახალისება, ენერგეტიკა, განათლება, საჯარო ფინანსების მართვა და ხარჯების ეფექტურობა სოციალურ სფეროში.

„კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური ზრდის განვითარების პოლიტიკის რიგით მესამე ღონისძიება გულისხმობს მთავრობის მხარდაჭერას სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით, რაც უნდა მოხდეს შემდგომი სტრუქტურული რეფორმების გზით და სოციალური დახმარების უკეთესად მიმართვით იმ ადამიანებზე, ვისაც ეს უკიდურესად სჭირდება“, განაცხადა ჰენრი კერალიმ, მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში. „ამ სამწლიან პროგრამაში საქართველოს მთავრობის აქტიური როლი მისი განხორციელებისა და მდგრადობის გარანტია. ველით განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების ახალი პროგრამის შემუშავებას მომავალი წლიდან“.

რეფორმების გატარება განვითარების პოლიტიკის სხვადასხვა საქმიანობის მეშვეობით მოხდა, რომლებიც საქართველოსთან თანამშრომლობის 2010-2013 და 2014-2017 წლების სტრატეგიების განუყოფელი ნაწილია, და თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ახალ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან - საქართველო 2020.

„მთავარი სექტორები, რომლებსაც აღნიშნული ღონისძიება მოიცავს, შეესაბამება მთავრობის სტრატეგიაში წარმოდგენილ პრიორიტეტულ დარგებს. ახალმა მთავრობამ განსახორციელებელი რეფორმები სოციალური სექტორისკენ მიმართა, კონკრეტულად კი საუბარია სოციალური დახმარების, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებზე“, განაცხადა მონა პრასადმა, მსოფლიო ბანკის უფროსმა ეკონომისტმა. „ამასთან ერთად, მთავრობამ აღნიშნა, რომ ერთგულია ზრდის სტრატეგიისა, რომელიც სავაჭრო სექტორებში ინვესტიციებზეა მიმართული და მზადაა განახორციელოს ის საქმიანობა, რომელსაც განვითარების პოლიტიკის ეს ღონისძიება მოიცავს“.

აღნიშნული ღონისძიების მხარდაჭერით განსახორციელებელი რეფორმები სამ მიმართულებადაა დაჯგუფებული. პირველი მხარს უჭერს კანონმდებლობას ევროკავშირის ბაზარზე წვდომის გაზრდის

თაობაზე; აგრეთვე, საბაჟო ეფექტურობის, ენერგოსისტემის სანდოობის და ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. მეორე -- ბიუჯეტის დაფარვისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. მესამე მიმართულება კი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, და მიზნობრივი სოციალური პროგრამების ეფექტურობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

საქმიანობები, რომლებიც კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური ზრდის განვითარების პოლიტიკის დონისძიების ფარგლებში უნდა გატარდეს, მთავრობისთვის განვითარების ყველაზე პრიორიტეტულ საკითხებზეა გათვლილი. ექსპორტის ხელშეწყობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა აუცილებელია პროდუქტიულობის გაზრდისთვის. სწორედ ამას ითვალისწინებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ არსებული შეთანხმება. ეფექტური და სანდო ენერგომიწოდება შიდა ბიზნესებისა და მომხმარებლებისთვის აუცილებელია ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად. ჯანსაღი საგანმანათლებლო სისტემა და ჯანდაცვაზე უფრო ფართო წვდომა ხელს შეუწყობს ადამიანური კაპიტალის ზრდას. გაუმჯობესებული საჯარო ფინანსური მართვა უკეთესი პოლიტიკის განსაზღვრას, ფისკალურ დისციპლინას და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას წახალისებს. და ბოლოს, სოციალური ხარჯების გაუმჯობესებული ეფექტურობა დარბიი ფენისთვის არსებულ დახმარებას გაზრდის.

გასული წლების განვითარების პოლიტიკის პროგრამა პოსტკრიზისული ზრდის უზრუნველყოფაზე, კრიზისის შემსუბუქებასა და სტრუქტურულ რეფორმებზე იყო ორიენტირებული. რეფორმები გატარდა საჯარო ფინანსების, გაზრდილი სოციალური უსაფრთხოების ქსელების და ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად.

დღეს დამტკიცებული პროგრამა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის ორ კრედიტს და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხს მოიცავს.

1992 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი ოდენობა დაახლოებით 2.16 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ: www.worldbank.org.ge

გვეწვიეთ Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

საკონტაქტო პირები

ვაშინგტონში:
ელენა კარაბანი
ტელ: +1 (202) 473-9277
ekaraban@worldbank.org

თბილისში:
ინგა პაიჭაძე
ტელ: (99532) 291-3096
ipaichadze@worldbank.org